საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ია გაბედავა

კოლეგიის წევრი - არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორები: მ. ხ., ი. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 100/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ღ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ხ.-მ და ი. კ.-მ, რომლებმაც მოითხოვეს ადვოკატ მ. ღ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მ. ხ.-მ 2018 წლის 10 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 2015 წლის სექტემბრის თვეში მ. ხ.-მ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ მ. ღ.-ს. მ. ხ.-ს იურიდიული დახმარება სჭირდებოდათ ყაზბეგის რაიონის სოფელ გარბანში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მ. ხ.-ის შვილები: გ. ხ., ი. ხ. (კ.) და გ. ხ. მითითებული იყვნენ სოფელ გარბანის საკომლო წიგნში, თუმცა გ. ხ.-მ უძრავი ქონება მთლიანად მის სახელზე დაირეგისტრირა.

1.3 ადვოკატი მ. ღ. წარმოადგენდა მ. ხ.-ის, როგორც მოსარჩელის ინტერესებს გ. ხ.-ის წინააღმდეგ, მცხეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავაში, თუმცა ადვოკატმა იმოქმედა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ღ.-მ ნაცვლად, იმისა, რომ სასამართლოზე მოეთხოვა გ. ხ.-ის „საბუთების გაუქმება“, მან მოსამართლეს წარუდგინა „ყალბი საბუთები“, მიუთითა, რომ მ. ხ.-ს სურდა დოკუმენტების: გადაწყვეტილება #65-ისა და საგადასახადო სიის #95 გაუქმება. მ. ხ.-ის განცხადებით, მისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთები იყო ზემოაღნიშნული დოკუმენტები, რისი გაუქმებაც მას არ მოუთხოვია.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსამართლე დ. გ. უთითებს, რომ „გ. ხ.-ის საბუთები ყალბია“. მ. ხ.-მ 2016 წელს მიმართა მოსამართლე დ. გ.-ს განცხადებით იმის თაობაზე, ისაუბრა თუ არა მან, როგორც მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე, რომ სურდა გადაწყვეტილება #65-ისა და საგადასახადო სიის #95 -ის გაუქმება. მოსამართლემ წერილობით განუმარტა, რომ „ეგეთი რამე არ ყოფილა სასამართლოზე“ და თუ ასე იყო, გამოეთხოვა სხდომის ოქმის ჩანაწერი.

1.5 მ. ხ.-ის განმარტებით, მან ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 700 ლარი. ადვოკატმა მ. ღ.-მ ხელშეკრულება გაუფორმა მ. ხ.-ის შვილსაც - ი. კ.-ს, როელსაც ჰონორარის სახით გამოართვა 200 ლარი, თუმცა სასამართლოზე არ დაიცვა მისი ინტერესები, „ამოშალა სიიდან და არ არგუნა წილი“, როგორც მემკვიდრეს, არამედ ის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული იყო როგორც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე.

1.6 ადვოკატმა მ. ღ.-მ მ. ხ.-ს დააწერინა ხელწერილი იმის თაობაზე, რომ მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა და გადასცა საქმის მასალები. დოკუმენტების გაცნობის შემდგომ, მ. ხ.-მ აღმოაჩინა, რომ ადვოკატი მ. ღ. გ. ხ.-ის ადვოკატი იყო. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ ადვოკატს მოსთხოვეს გადახდილი საადვოკატო მომსახურების 700 ლარისა და 200 ლარის დაბრუნება.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ღ.-მ, არასწორად მიუთითა, რომ ის ითხოვდა გ. ხ.-ის საკუთრებიდან ½ წილის გამოყოფას. ადვოკატმა იმოქმედა გ. ხ.-ის სასარგებლოდ, რის შედეგადაც, მას „ნებართვა მისცა“, რომ მ. ხ.-ის ბინა იპოთეკით დაეტვირთა.

1.8 საჩივრის ავტორის - მ. ხ.-ის განცხადებით, მისი მოთხოვნის საფუძველზე დაყადაღდა გ. ხ.-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, თუმცა ადვოკატმა მ. ღ.-მ „მოხსნა ყადაღა“.

1.9 მ. ხ.-ის განმარტებით, ის მივიდა ადვოკატ მ. ღ.-ს საადვოკატო ოფისში, რა დროსაც მოისმინა მისი თანაშეწმის სატელეფონო საუბარი გ. ხ.-სთან იმის თაობაზე, რომ მას უფლება ჰქონდა იპოთეკით დაეტვირთა მისი უძრავი ქონება.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც მან ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება „ხელით შეეხო, დაკრა და უწმაწური სიტყვებით მიმართა“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ღ.-მ ეთიკის კომისიას 2018 წლის 17 აგვისტოს და 19 ნოემბერს წარუდგინა წერილობითი ახსნა-განმარტებები. 2018 წლის 06 ნოემბერს ადვოკატმა საპროცესო კოლეგიას წარუდგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატ მ. ღ.-სა და მ. ხ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 09 სექტემბერს. ადვოკატს უნდა წარმოედგინა მ. ხ.-ის ინტერესები პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე გ. ხ.-ის წინააღმდეგ. ადვოკატი სრულად მოემსახურა საჩივრის ავტორს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლოში უსასყიდლოდ მოემსახურა, უზენაეს სასამართლოში საქმისწარმოების ეტაპზე მ. ხ.-მ არ ისურვა ადვოკატის მომსახურება და მინდობილობასაც ვადა ეწურებოდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან მ. ხ.-ის საქმესთან დაკავშირებით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და შემდგომ, მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით, თუმცა აღნიშნულ მომსახურებისთვის მ. ხ.-ს მისთვის არაფერი გადაუხდია. ადვოკატის განმარტებით, ის საჩივრის ავტორს შეუთანხმდა, რომ გაუწევდა იურიდიულ მომსახურებას მხოლოდ პირველ ინსტანციაში და საჯარო რეესტრში ჰონორარის გარეშე, რადგან არ ჰქონდა საშუალება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოში ადმინისტრაციული საქმისწარმოება შეჩერდა, სამოქალაქო საქმისწარმოების დასრულებამდე, თუმცა შემდგომ, ეტაპზე მ. ხ.-მ არ ისურვა ადვოკატის მომსახურების მიღება. შეთახნმების შესაბამისად, საჩივრის ავტორს ადვოკატისთვის უნდა გადაეხადა ჰონორარის სახით 700 ლარი, თუმცა მ. ხ.-ს დაახლოებით 300 ლარი აქვს გადაცემული.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია რას გულისხმობს საჩივრის ავტორი, როდესაც უთითებს, რომ მან 2015 წელს „დაწერა ყალბი საბუთები“, ამავე დროს, მ. ხ. უსაფუძვლოდ უთითებს, რომ ადვოკატი მ. ღ. იყო მოწინააღმდეგე მხარის - გ. ხ.-ის ადვოკატი.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი არასწორად უთითებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომა 2016 წელს ჩატარდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე დ. გ.-სთან, მაშინ, როდესაც ის ეთიკის კომისიაში ურთავს მოსამართლე დ. გ.ს მიერ 2015 წელს მიღებულ განჩინებას.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე დ. გ.-მ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გ. ხ.-ის საბუთები ყალბია, თუმცა ასეთი რამ განჩინებაში არ არის განმარტებული. ადვოკატის განცხადებით, მ. ხ. კმაყოფილი იყო საადვოკატო მომსახურებით და აღნიშნული მან 2017 წლის 03 აგვისტოს ხელწერილითაც დაადასტურა.

2.8 ი. კ. მ. ხ.-ის საქმის სასამართლოში მიმდინარეობის დროს, ჩართული იყო მესამე პირის სტატუსით და მას არ გამოუხატავს რაიმე პრეტენზია ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მას არ მიუმართავს არავისთვის, მ. ხ.-ის უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით, აგრეთვე, ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორს იმის თაობაზე, რომ მისი თანაშემწე დაუკავშირდა გ. ხ.-ს და აცნობა, რომ მას უფლება ჰქონდა ბინა იპოთეკით დაეტვირთა ან გაექირავებინა.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მ. ხ.-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და მან მიიღო სადაო ქონების ¼. ი. კ. იყო კომლის წევრი და ის საქმეში ჩაერთო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხვონის გარეშე, რადგან მან არ მოითხოვა ცალკე სარჩელის შეტანა მის წილთან დაკავშირებით, რომლის უფლებაც დღემდე აქვს, ვინაიდან მისი წილი სასამართლოს მიერ ღიად

არის დატოვებული და აღნიშნული არაერთხელ განემარტა ი. კ.-ს და მ. ხ.-ს, როგორც მოსამართლის მიერ, ასევე ადვოკატის მხრიდან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ღ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი№ / სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.1 საჩივრის ავტორებმა - მ. ხ.-მ და ი. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 01 აგვისტოს.

3.2 სადაო ქმედება განხორციელდა 2015-2016 წლებში. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა საჩივრის ავტორის - მ. ხ.-ის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოზე წარადგინა „ყალბი საბუთები" და მოითხოვა საჩივრის ავტორის - მ. ხ.-ის დოკუმენტების გაუქმება, რომელსაც ემყარებოდა მისი მოთხოვნა; ადვოკატმა არასწორად წარადგინა სასარჩელო მოთხოვნა და მოქმედებდა მოწინააღმდგე მხარის - გ. ხ.-ის ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის, მან „მოხსნა ყადაღა" სადავო უძრავ ქონებას, რითიც ნება დართო გ. ხ.-ს იპოთეკით დაეტვირთა ბინა; ადვოკატმა არ დაიცვა კვალიფიციურად საჩივრის ავტორის - ი. კ.-ს ინტერესები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ღ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.3: „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამარლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება".

5.3 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება კლიენტს გაუწიოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, კერძოდ, განახორციელოს იურიდიული მოქმედებები შეთანხმების ფარგლებში კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კლიეტნი მიმართავს ადვოკატს სწორედ მისი

პროფესიული უნარ-ჩვევების გამო და ის ანდობს თავის საქმეს იმ მიზნით, რომ მან კეთილსინდისიერად გაუწიოს საადვოკატო მომსახურება, მათ შორის იმოქმედოს მისი ინტერესების სასარგებლოდ.

5.4 ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კანონიერების პრინციპის დაცვით და არ მიაწოდოს სასამართლოს ყალბი მტკიცებულება, არ მიიღოს მონაწილეობა ასეთი ტიპის მტკიცებულების შექმნაში. აღნიშნული წესის დაუცველობა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს და არ ემსახურება კლიენტის კანონიერი ინტერესების რეალიზებას.

5.5 განსახილველ შემთხვევაში, მ. ხ.-სა და ადვოკატ მ. ღ.-ს შორის 2015 წლის 09 სექტემბერს გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება (ს.ფ.03), აგრეთვე, 2015 წლის 10 სექტემბერს მ. ხ.-ის მიერ მ. ღ.-ს სახელზე გაიცა მინდობილობა (ს.ფ. 09). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სასამართლოში კლიენტის ინტერესების წარმოდგენა გ. ხ.-ის წინააღმდეგ სამოქალაქო საქმეზე.

5.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა „ყალბი საბუთები“, მისი სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა შემდეგ დოკუმენტებს: გადაწყვეტილება #65-სა და საგადასახადო სია #95-ს, თუმცა ადვოკატმა მ. ღ.-მ, აღნიშნული დოკუმენტების გაუქმება მოითხოვა სასამართლო სხდომაზე, რაც წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ მოქმედებას. საჩივრის ავტორი ზოგადად უთითებს, რომ ადვოკატმა 2015 წელს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ წარუდგინა „ყალბი საბუთები“, თუმცა კონკრეტულად არ უთითებს თუ რა სახის ყალბი დოკუმენტები შექმნა და დაურთო საქმეს ადვოკატმა მ. ღ.-მ. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება, ადვოკატის მიერ სასამართლოსთვის მცდარი ინფორმაციის ან ყალბი დოკუმენტის მიწოდების ფაქტი.

5.7 განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა მ. ღ.-მ საჩივრის ავტორთან, როგორც მის კლიენტთან შეუთანხმებლად იმოქმედა და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ წარუდგინა სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნა სადავო უძრავ ქონების თანამესაკუთრედ აღიარების და გადაწყვეტილება #65-ისა და საგადასახადო სიის #95 ბათილად ცნობის თაობაზე. მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით ირკვევა, რომ სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ მ. ხ. და ი. კ., რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქმისწარმოების პროცესში. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განჩინებაში (ს.ფ. 08) წარმოდგენილია, როგორც მოსარჩელე, აგრეთვე, მოპასუხე მხარის პოზიციები საქმესთან დაკავშირებით.

5.8 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ღ. სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელების გარდა, წარმოადგენდა მ. ხ.-ის ინტერესებს მცხეთის რაიონულ სასამართლოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, მესამე პირი გ. ხ., დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა მ. ღ.-მ შეასრულა იურიდიული მოქმედებები, როგორც მ. ხ.-ის წარმომადგენელმა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობისას, მათ შორის 2015 წლის 05 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა საჩივარი ყაზბეგის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილების თაობაზე (ს.ფ.36). აღნიშნული საჩივარი ეხება მ. ხ.-ის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სადავო უძრავი ქონების დარეგისტრირების საკითხს და მითითებულია, რომ გ. ხ.-მ „სრულიად უკანონოდ და დოკუმენტების გაყალბების გზით დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი...

უფლებადამდგენ დოკუმენტად მითითებულია საგადასახდო სია #95“ (საჩივარი - ს.ფ.36). აღნიშნულ საჩივარს ხელს აწერს ადვოკატი მ. ღ. და მ. ხ. შემდეგი წარწერით - „ვეთანხმები“.

5.9 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა მ. ღ.-მ არ განახორციელა ის იურიდიული მოქმედებები, რაც კლიენტს სურდა და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა. მათ შორის, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, იმისათვის, რომ კოლეგიამ ივარაუდოს - ადვოკატი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა, და გ. ხ.-ის სასარგებლოდ „მოხსნა ყადაღა“, მითუმეტეს, რომ საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი საჩივრით და მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინების მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ღ. ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას მ. ხ.-ის ინტერესების დაცვის მიზნით. ამავე, დროს, 2018 წლის 08 ნოემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მ. ხ.-ს და მისი შვილის - გ. ხ.-ს შორის არსებულ სადავო მიწის ნაკვეთზე - ყაზბეგი, სოფელი გ. - ვალდებულების სახით მითითებულია ყადაღა (ს.ფ.31). ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილია მ. ხ.-ის 2017 წლის 03 აგვისტოს ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, ის აცხადებს, რომ ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ არ აქვს პრეტენზია და არ სურს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრება (ს.ფ.29). აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საჩივრის ავტორიც და უთითებს, რომ მან ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ პრეტენზიის არქონის თაობაზე შეადგინა ხელწერილი.

5.10 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით, დისციპლინური საქმის გამოკვლევის მიზნით, 2018 წლის 21 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მ. ხ.-ის ადმინისტრაციული საქმის #3-xxx-15 მასალების გამოთხოვის მიზნით (ს.ფ.41). 2019 წლის 28 თებერვლის მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ ეთიკის კომისიისთვის მოწოდებული წერილობითი პასუხის მიხედვით, მ. ხ.-ს ადმინისტრაციულ საქმეზე (3/xxx-15) 2018 წლის 19 ოქტომბერს საპროცესო წარმომადგენლობას უწევდა სხვა წარმომადგენელი და არა მ. ღ., 2018 წლის 27 ნოემბრის სასამართლო მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მ. ხ.-მ გაიხმო მის მიერ წარდგენილი სარჩელი და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე, ადვოკატ მ. ღ.-ს სასამართლო ზეპირ მოსმენებში მონაწილეობა არ მიუღია. (მცხეთის რაიონული სასამართლოს წერილი - ს.ფ.42).

5.11 საჩივარში აღნიშნულია, რომ ადვოკატმა მ. ღ.-მ არ გაუწია კვალიფიციური მომსახურება ი. კ.-ს, კერძოდ, საჩივარში მითითებულია, რომ ადვოკატმა ი. კ.-ს „არ არგუნა წილი“ და საქმეში ჩართო, როგორც მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. ადვოკატი მ. ღ. ადასტურებს, რომ მან მ. ხ.-სთან ერთად საადვოკატო მომსახურება გაუწია მის შვილსაც ი. კ.-საც, თუმცა მას არ სურდა უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარება მოეთხოვა და მის ინტერესს წარმოადგენდა საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩართვა. საპროცესო კოლეგია მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნავს, რომ გარდა საჩივრისა, ი. კ.-ს კოლეგიისთვის არ წარმოუდგენია დამატებით წერილობითი ან ზეპირი ფორმით თავისი პოზიცია, კონკრეტულად, რა პრეტენზიები აქვს ადვოკატის მიმართ და რა მომსახურება უნდა გაეწია ადვოკატს და არ გაუწევია. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის

სტანდარტით იმსჯელოს ადვოკატის მიერ ი. კ.-სთვის არაკვალიფიციური მომსახურების გაწევის თაობაზე.

5.12 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. ღ.-მ საჩივრის ავტორს - მ. ხ.-ს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ღ.-ს მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა".

5.13 ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა.

5.14 ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს.

5.15 ნდობის პრინციპის დაცვა შეუძლებელია კლიენტისადმი პატივისცემისა და მისდამი მორალურ-ზნეობრივი ნორმების დაცვის გარეშე. ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, ილახება კლიენტის უფლებები და თავისთავად, კლიენტს ეკარგება ადვოკატისადმი ნდობა. ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, რაც მოიცავს პირველ რიგში, კლიენტისადმი პატივისცემის ვალდებულებას. ნდობის პრინციპის დარღვევით არამხოლოდ კლიენტს ადგება ზიანი, არამედ, იჩრდილება ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებული მაღალი შეხედულება, რაც თავისთავად, აზიანებს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიულ ინტერესს.

5.16 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ მ. ღ.-ს მიერ მასზე განხორციელებული ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარდა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა, საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულება, მათ შორის უშუალოდ ამ ფაქტის თვითმხილველის ჩვენება, იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა ხელი კრა და „უწმაწური სიტყვებით" მიმართა მ. ხ.-ს.

5.17 საჩივარში აღნიშნული პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა მ. ღ.-მ საჩივრის ავტორებს არ დაუბრუნა გადახდილი ჰონორარი.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ღ.-ს მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.19 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის მიერ, ასევე ადვოკატის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე.

5.20 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.

5.21 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას,

გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

5.22 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. ღ.-სა და მ. ხ.-ს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, გადასახდელი ჰონორარის სახით მითითებულია 700 ლარი. საჩივრის ავტორი მ. ხ. უთითებს, რომ მან გადაუხადა ადვოკატს შეთანხმებული ჰონორარი, აგრეთვე, მ. ღ.-ს ჰონორარი 200 ლარის ოდენობით გადასცა ი. კ.-მ. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მ. ღ. უთითებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობა სრულად საჩივრის ავტორს მისთვის არ გადაუცია და სავარაუდოდ, მას საჩივრის ავტორისგან მიღებული აქვს - დაახლოებით 300 ლარი და მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლოში მ. ხ.-ის ინტერესების წარმოდგენა ჰონორარის გარეშე განახორციელა. ადვოკატის განმარტებით, ი. კ.-ს მისთვის არ გადაუცია ჰონორარი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, მათ შორის ადვოკატისთვის ჰონორარის სახით თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

5.23 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა მ. ღ.-მ მიიღო საჩივრის ავტორებისგან გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მას არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება.

5.24 საჩივრის ავტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურებაში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული საკითხის განხილვა. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის თანახმად ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ დისციპილინური პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს მომსახურებაში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების საკითხზე და მოცემული მოთხოვნით საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს – სასამართლოს.

5.25 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №100/18 ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/